

# მ რ ი № 26

	შ ი ნ ა ა რ ს ი.
ჩვენი საქმე . . . . .	მანოსა.
მოგონებანი . . . . .	ს. მკაღობდიშვილის.
შეგების თავადი . . . . .	ა. მანისაშვილის.
მწუხარება ლექსი . . . . .	ტ. ტაბიძის.
ძალღი ლექსი . . . . .	ა. გრამაშვილის.
გზა და გზა . . . . .	იმ-ზენის.

კვირა, 21 გიორგობისთვე.

1910 წ.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი

1910 წ.

## ჩვენი საქმეები

შკოსანი აკაკი თავის მოთხრობა „ბაში აჩუკში“ ასე ახასიათებს თეიმურაზ მეფეს: პოლიტიკაში პოეტობდაო. და განა ეს შესანიშნავი დახასიათება მარტო ერთს პიროვნებას შეეხება და ან ერთს მომენტს ჩვენს ცხოვრებაში? ჩვენს ახლო წარსულს რომ თვალი გადაავლოთ, დარწმუნდებით, რომ თითქმის ორი-სამი საუკუნე გადის და ვერც ჩვენ ხალხს, ვერც ჩვენი ცხოვრების მესვეურთ ვერ უპოვიათ ის რეალური დედა ძარღვი, რომელსაც ხალხის ცხოვრება უნდა მისდევდეს. ამ შეუგნებლობამ, ამ სინამდვილის წინაშე დაბრმავებამ ისეთი ნაბიჯები გადაგვადგმევინა, რომელთაც შეიძლება საბოლოოდ სრულიად ადგვავონ დედამიწის ზურგიდან. სადაც ყოველ სიტყვის ასჯერ და ათასჯერ აწონ-დაწონაა საჭირო, იქ ჩვენი უკანასკნელი მეფეები ენა ქართლობას იჩენდენ და თავს იმცირებდენ; სადაც მოთმენა და ყოველ ნაბიჯის ათასჯერ აწონაა საჭირო, იქ მტეხიერულად იქცეოდნენ და არღვეოდნენ იმ სიმაგრეს, რომელიც ქართველ ხალხს თავის სისხლით გაყდნთილ ცხოვრებაში შეუქნია. ოცნების ამყოლმა პოლიტიკოსებმა მოატრიალეს უკულმა ჩვენი არსებობის ჩარხი. დადგა ახალი ხანა ჩვენს ცხოვრებაში, ხანა ტანჯვისა და დამცირებისა. იქნებ ეხლა მაინც ვისწავლეთ ქკუა? ინგლისელს ჰკითხეს: რატომაა, თქვენში უმაღლესი სასწავლებელი რომ ცოტა არისო? გან. თვით ჩვენი ცხოვრება უმაღლესი სასწავლებელი არ არის? უპასუხა ინგლისელმა. მართლაც განა ჩვენი ცხოვრებაც სასწავლებელი არ არის? რა საკვირველია, ისეთი სასწავლებელი არა, როგორც ინგლისისა, მაგრამ ხომ მაინც სასწავლებელია. და ვინც ამ ცხოვრებას ხედავს, ვისაც იგი ვერ დაუფასებია, რა გასაკვირველია, რომ თავის არსებობის წინააღმდეგ მოქმედებდეს. როცა სახლში შეჩვეული ცხოველი სურათ მოაშო-

რონ თავის წინანდელ ბინას, თვალებს აუხვევენ, გზა არ ისწავლოს და უკან არ დაბრუნდესო. ჩვენც ასე მოგვივიდა. ის ნაწილი ხალხისა, რომელსაც ეწოდება „შეგნებული“, «ინტელიგენცია» თვალ ახვეული მოშორებულ იქმნა თავის ბინას. დუხჭირმა აღზრდამ ნაყოფი მოიტანა, შეიღოს პირიდან დედის ძუძუ გამოაცალა, შეიღი დედას ჩამოაშორა. დაეცა დედა, ვინაიდან მისი შეიღიც დაკნინდა, დაძაბუნდა. და რა გასაკვირველია, რომ ამ დედის ცხოველ-ყოფელ ალერსს მოკლებული შეიღი განზე გადგეს, არ მოისურვოს თავის მშობელის შეველა? ვფიქრობ, ჩვენი თეატრი არას დროს არ ყოფილა ტფილისში ისე კარგ ნიადაგზე დაყენებული, როგორც წელს. შეიძლება ნაკლი აქაც იპოვოთ, მაგრამ მიბრძანეთ, ნაკლი სად არ არის? მიუხედავად ამისა ხალხი ძალიან ნაკლები დადის. თქვენ ნუ ეძებთ ბევრს მიზეზს. აქ მიზეზი ერთად ერთია. ჩვენი ნასწავლი ხალხი იმდენად უცოდინარია თავის სამშობლო ენისა, რომ ის ესთეთიურ სიამოვნებას ვეღარ გრძნობს, როცა ქართული ლაპარაკი ესმის. ამას წინედ ჩემს გვერდით მჯდომი «ინტელიგენტია» მეკითხება: **ნილაბი** რა არისო. როცა ასეთი უბრალო სიტყვა არ გესმით, როცა თვით ენის მუსიკა, ენის თავისებურება არ გასიამოვნებთ, მაშინ არც მოსმენა გსურთ. არ გჯერათ! შემოიარეთ ტფილისში ქართველი მასწავლებლები, ექიმები, ვექილები, მღვდლებიც. ყოველ ოჯახში იპოვით ხუთიოდე წიგნს, მაგრამ რაზედაც გნებავთ დაგენაძლევებით, რომ ათი ოჯახიდან ცხრა ოჯახში ვერც ერთს ქართულ საკითხავ წიგნს ვერ შეხვდებით. ჩვენში მთელი პროცენტები, სადაც ქართული გაზეთი, შეიძლება ვთქვათ, სულ არ მიდის. მთელი ალაზნას და ივრის ხეობა სულ ორმოცდაათ ცალს ქართულ გაზეთს ჰკითხულობს, და ამ რიცხვშიაც, დარწმუნებული მრძანდებოდეთ, ნახევარს

მინც არა ადგილობრივი მცხოვრები იწერს. იმავე დროს კი არა ქართული გაზეთები საკმაოდ ბევრია. რატომ? იმიტომ რომ ჩვენ სხვებზე გლახები ვართ, ცუდად ვწერთ? არა, თამამად შეგვიძლია გამოვაცხადოთ, რომ რაც შეეხება ტფილისს, აქაურ გაზეთებში ქართული გამოცემანი საზოგადოებრივი სიფაქიზითაც, შინაარსითაც გაცილებით მაღლა სდგანან. მაშ რატომ არ სწყალობენ? იმიტომ, რომ ქართული არ ესმით. ჩათვლით ჰკითხულობენ და წაკითხულსაც სულ ვერ იგებენ.

ჩვენში გაჩნდა მთელი ჯგუფი სამშობლო ნიადაგს მოშორებულ, გაქარაფშუტებულ ინტელიგენციისა, რომელსაც ხალხიც ფეხებზე ჰკიდია და შენი მომავალიც. მაგრამ ეს კიდევ არაა ისე სამწუხარო, რადგან ასეთი ელემენტი ყოველთვის და ყოველ ხალხში მოიპოება, განსაკუთრებით ჩვენ მდგომარეობაში როცა ის. არა ისაა სამწუხარო, რომ ვერც ერთი ქართული გამოცემა მკვიდრ ნიადაგზე ვერ დაგვიყენებია, ხოლო რუსულად სამი გამოცემა აქვთ დღეს ქართველებს. სამწუხარო ის არის, რომ ეს ვაჟბატონები, რა უტიფრობითაც ერთმანეთს ლანძღავენ, იმავე უტიფრობით დიბლომატიობას ჩემობენ და ვითომდა ქვეყნის ინტერესების დამცველად გამოდიან. სამწუხარო ის არის, რომ მათ წინააღმდეგ ისეთი საზოგადოებრივი ძალა არ მოგვეპოება, რომ მათ ცხვირში ამოჰკრან და მათი შესაფერი ადგილი უჩვენონ. მაგრამ, იმედია, ამასაც მოვესწრებით.

მართალია, დაეძაბუნდით, მაგრამ არც ისე დავცემულვართ, ჩვენს ხალხში ჯერ კიდევ ძლიერია შემოქმედების ძალა, ძლიერია სიცოცხლის სურვილი. მოსქაშს თავის დროს ჩვენი ხალხის ის ნაწილი, რომელიც ისტორიული ჩარხის ტრიალმა თუმცა ზნეობრივად დასცა, მაგრამ მინც ჯერ-ჯერობით მარტო ის იძლევა «ინტელიგენციას». ამის ნიშნები უკვე ვგაქვს. ვისაც აქამდის ტანჯვით სული მოუტანია, ის კიდევ შესძლებს ტანჯვითვე გამოაბრუნოს საქმე და შექმნას თავისი ბრწყინვალე მომავალი.

მანო.



# მოგონებანი

V

სწავლა—აღზღის საქმე სოფელში ძველად. — ფიზიკური აღზღა. — სკოლა და „როზგი“. — ძველი მასწავლებლები და მათი განვლენა მოსწავლე ახალთაობაზე. — ი. გოგებაშვილის შეხვედრა გორის სასულიერო სასწავლებელში. — გიორგი ერისთავი,

გულხარიად წოდებული, ქ. გორში, მისი გარდაცვალება.

ეხლა რომ ვჩივით, სოფელი უპატრონოდ არის, ინტელიგენცია გაურბის სოფელსაო, მიჰხედეთ, მიეპატრონეთ სოფელსაო, ვლადადებთ; სოფელში სიბნელე სუფევს, ხალხი გაუნათლებლობის უფსკრულშია ჩალუბული, კისერზე ათასი ტკიპა ჩასჯდომია, სისხლსა სწოვს, უკანასკნელს დონეს იცლის, ჩქარა უმამულო დარჩებაო, — დიად, ეხლა, მეოცე საუკუნეში რომ ვჩივით და ვტირით სოფლის უნუგეშო ყოფა—მდგომარეობაზე, აბა ძველად რაღათ იქნებოდა, ე. ი. მეცხრამეტე საუკუნის პირველსა და მეორე ნახევრის დასაწყისში. მაშინ ერთად ერთი სოფლის ინტელიგენტი იყო მღვდელი მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ მაშინდელ მღვდელსა და აწინდელში დიდი განსხვავებაა, დიდი მანძილი სდევს, მაშინდელი მღვდელი არც ვაქარი იყო და არც ჩინოსან-ბიუროკრატი; ჩინ-ორდენები არ იცოდა რა იყო, არც ელტოდა ჯილდოების მიღებასა, აწინდელი კი სულს გაჰყიდის, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს სამღვდლოება, იღონდ გულზე რამე ჯილდოს ნიშანი ჩამოიკონწილოს.

აი ეს ერთად ერთი ინტელიგენტი—მღვდელი ადრინდელ სოფლისა, იყო სწავლა-აღზღის გამავრცელებელია ხალხში. თავისთავად შეჰკრეფდა თავის მედავითნის და თავდა-აზნაურთა შეილებს—ვაჟებს და ასწავლიდა ჯერ „ანა-ბანასა“; ანა-ბანა ისწავლებოდა ბეჭზე, რამდენიმე ასოს დასწერდა მღვდელი ბეჭზე, როგორც მხედრულს, ისე ხუცურსა და რის ვაი-ვაგლახით შეასწავლებდა, თან აწერინებდა თვითეულს შეგირდს ბეჭზევე, რომელიც ყველა ბავშვს ჰქონდა. ჩემს დროს სახელმძღვანელოდ მხედრულისა იყო პლატონ იოსელიანის გრამატიკა, რომელიც ან-ბანით იწყება, ხუცურის სახელმძღვანელოდ დავითნი იყო.

ვაჟებს მღვდელი ასწავლიდა, ხოლო ქალიშვილებს მღვდლის ცოლი ანუ რომელიმე კეთილშობილისა. სისტემა სწავლებისა ქალებისათვისაც ისეთივე იყო, როგორც ვაჟებისათვის. მაგრამ ოსტატ ქალებს პლ. იოსელიანის გრამატიკა რაკი არ მკეძევებოდათ, ან-ბანს უწერდნენ თავის შეგირდებს ქალღღზე, ნაბარათევის ნაფხრეწ—ნაგლეჯზე, ხშირად კი ისინიც ბეჭს მიმართავდნენ ხოლომე. სწავლების დროს იდგა ერთი გნისი, ყველა თავისთვის სწავლობდა, ხმა მაღლა ამბობდა ასოების სახელებსა ასე: ანუ, ბანუ, განუ... ოსტატს,—ასე უწოდებდნენ მასწავლებლებს,—ისე გამახვილებული ჰქონდა ყურთა სმენა, რომ ხმით ყველას იცნობდა, განსაკუთრებით ოსტატი ქალები, თითონ გაკეთილის დროს ქარგას ჩაუჯდებოდა, თასაკრავს ჰკერავდა, ან ჩიხტი-კოპს აკეთებდა, ან კიდევ ჰქსო-

ვდა რასმესა, მაგრამ თუ შეეშლებოდა ვისმეს ამ არეულ-ღარეულს ხმაურობის დროს, თავულებლივ თავის საკუთარის სამუშაოდან, დაუძახებდა: კაკა-ტო, შეგეშალა, **ბანის** შემდეგ **დონი კი არა განია**. ახლა სხვას გაუსწორებდა, ახლა სხვასა. შეგირდები ტახტზე ისდნენ მოკეცილები, ნაბარათევის ნაუხრეწი მუხლზე ედოთ და საჩვენებელი თითით ასდევ-ჩასდევდნენ ასოებსა. როცა კითხვა გათავდებოდა, ხელს საქმეს ასწავლიდა: ჯერ წინდაპაიჭის ქსოვას, შემდეგ ჩიხტი-კობის გამოჭრა-გამოწყობასა, მერე ოქრომკედით, ანუ აბრეშუმის ძაფით ქარგვასა, თასაკრავების კერვასა, სხვა და სხვა სახეების გამოყვანასა, შემდეგ ქრა-კერვასა. ამითი თავდებოდა სწავლება. შემდეგ ბავშვები დაუკრავდნენ დაირასა, ჩამოუვლიდნენ ლეკურსა და სამაიას, ითამაშებდნენ „ძერა-ძერაობასა“, რომ მოიღლებოდნენ, თავისით გამოეთხოვებოდნენ გოგოები ოსტატსა და კოწიაწით გასწევდნენ სახლში.

ვაჟებიც **ანბანის კითხვისა და წერის** შემდეგ სათამაშოდ გადიოდნენ: პირველი მათი გასართობი ჭიდაობა იყო, ბურთაობა, ჩალიჩი; ოსტატიც გამოადგებოდა აივანზე, იცინოდა, ხარხარებდა ბავშვების ცელოებაზე, აქებებდა მხდალსა და გაუბედავს ბავშვებსა: „აი ბარაქალა, აი ყოჩაღ!“ გადმოისმოდა აივნიდან ოსტატი მღვდლის ხმა, ბავშვების გამამხნეველები და წამქებებელი. ოსტატი თავის ღღეში არ ეტყოდა, კარგი გეყოფათ, დაისვენეთო. თვით ბავშვები მოითურებოდნენ ხოლმე თამაშობით თუ არა, მაშინვე შესწყვეტდნენ. თამაშობა-გართობა ძალა დაუტანებელი იყო. იშვიათად მოხდებოდა, რომ ერთმანეთში ბავშვებს ჩხუბი მოსვლიყოთ. აწინდელი გართობა-თამაშობა კი აფიციალურია, ბიუროკრატიულს ყალიბშია ჩამოსხმული; გარეშე ამისა თუ ბავშვმა გულუბრყვილოდ, ბავშურის ბუნების მოთხოვნილებით, რაიმე ჩაიდინა, დიდ ცოდვად და დანაშაულებათ ეთვლება. აი ერთი ახლად-ახალი მაგალითი: სასწავლებლის ეზოში მემაწვნე, თუ მენახშირე, შევიდა და თავისი სახედარი მიაბა; ერთმა ბავშვმა მეორეს ქული მოხადა და ვირს დახურა: „ვირს უფრო შეპფერის ეს ქული, ვინემ შენაო“. ბავშვებმა გაღიხარებულს, ამ გულუბრყვილო ბავშვურმა ხუმრობამ, მთელი ქარიშხალი ააყენა სასწავლებელში. მისწერეს მშობელს, გააფთხილვე შენი ვაჟი-შვილი, თორემ მეორეჯელ თუ განიმეორა ასეთი თავხედობა, სასწავლებელს მივატოვებინებთო. წარმოდგინეთ, ვირს ამხანაგის ქული დახურა. ერთიც ვნახოთ, ვირი დამფთხალიყო და ბავშვებისათვის ტლინკები მიეყოლებინაო. აი თანამედროვე აღმზღდელის ნიმუში. ჯერ ერთი ესა, ვირი არც ისე უგუნურია, როგორც წარმოდგენილი აქვთ, მერე ხალხსა და ქალაქს შეჩვეული ვირი. ამის გარდა, ბავშვებს მეგობრობა

აქვთ ვირთან: ბავშვები უფლიან, წყალზე მიჰყავთ, ზურგზედ ასხდებიან, ყურებზედ და კუდზე ეკიდებიან, ხან ულოლიავენ და გულში იხუტებენ იმის გამხმარ თავსა, მათთან ხუმრობას შეჩვეულია. დავიჯერო, ეს გარემოება წარმოდგენილი არა ჰქონდა ბ. მასწავლებელს, როცა ქარიშხალი ააყენა? კი ექნებოდა, მაგრამ ის კი ვეღარ წარმოუდგენია, რომ ბავშვმა ბავშვური ცელოება ჩაიდინოს და გასცილდეს ოფიციალურს მოთხოვნილებასა. ამიტომაც არის, რომ ეხლანდელი მოსწავლე ავტომატია, ყმა გამეფებულის ოფიციალობისა, მისი **მე** ჩაკლულია, მისი ბედი და უბედობა დამყარებულია ბავშვზე. თუ ბედმა გაუღიმა და მასწავლებელმა კეთილის თვლით შეხედა, ნიშნები სწავლისა კარგი გამოსდის, თუ ფეხი გადუბრუნდა, — ვაი შენს მტერს! — ვეღარა გიშველის-რა....

ესწყვეტ აქ ლაპარაკს ადრინდელ სწავლა-აღზდაზე. ამის შესახებ მაქვს ერთი მოთხრობა „ფეროსინეს სკოლა“, რომელიც დაიბეჭდა „მოამბეში“ საზოგადო სათაურით — „წარსულიდან“.

ეხლაც კი, ამ მოხუცებულობის ეპოქა, ტანში გამაქრჯოლებს და ციებ-ცხელება ამიტანს ხოლმე, როდესაც წარმოვიდგენ ძველს სკოლასა თვისის განუშორებელის ატრიბუტებით: როზგი (წკეპლა), სახაზავი, დუქნის დარაბად წოდებული, დაჩოქება კენჭებზე, სილა, ყურების წიწკენა, თმის გლეჯვა, და ათასი სხვა ჯანაბა. ხშირად ვხედავ არითმეტიკის ვეზემენს: ვდგევარ ხესავით, ინჩი-მინჩი არა მესმის-რა. ჩამომდის ოფლი, მიშხაპუნებენ თავპირში როზგსა და პანდურის ცემით მისტუმრებენ. მეღვიძება, ხვითქში ვცურავ და მადლობას ვწირავ შემოქმედსა, რომ ეს სიზმარი იყო და არა ცხადი.

მე ჩამიყვანეს გორის სასულიერო სასწავლებელში ყ. რიმის ომის გათავების შემდეგ; ჯერ ბატონკობა ძალაში იყო, მაგრამ ხმები დადიოდა გადავარდნაზე, ყირიმის ომის შემდეგ. როგორც მოგეხსენებათ რუსეთი განახლების გზას დაადგა; ლიტერატურამ, მწერლებმა ფარდა ახადეს რუსეთის შავბნელ ცხოვრებას, გამოამშვეეს ხავს — მოკიდებული ცხოვრება და დაუწყეს წამლობა. ამ დროს ასპარეზზე გამოდის დიდებული ნიკოლოზ ივანეს ძე პიროგოვი, რომელმაც გულადმა გადმოატრიალა სწავლა-აღზღის საქმე რუსეთისა თავის შესანიშნავ ნაწარმოებში „საკითხები ცხოვრებისა“ („Вопросы жизни“) (\*). დიდი აღიავლოთ ჩაგდო ამ წერილმა რუსეთის საზოგადოებაში. რუსეთის გამოჩენილმა კრიტიკოსმა ნ. დობროლიუბოვმა რამდენიმე წერილი უძღვნა პიროგოვის წერილებსა და საზოგადოდ მის მოღვაწეობასა.

\*) ამ ნოემბრის დამდეგს რუსეთში გადაიხადეს ამ შესანიშნავი კაცის იუბილეი — ასი წლის თავი მისი დაბადებიდან.

ნ. პიროგოვი პირველად თამამად გამოსთქვა. თავის თხზულებაში შემდეგი აზრები: აწინდელი სწავლა-აღზღის უმთავრესი საფუძველნი სრულიად არ უთანხმდებიან საზოგადოების გაბატონებულს მიმართულებას. ამის შედეგი კი ის არის, რომ როდესაც ვათავებთ სწავლა-აღზღას და გამოვდივართ საზოგადოებაში, ჩვენ იძულებულნი ვხდებით ან უარ ვყოთ ის, რაც ვისწავლეთ, რათა საზოგადოებას შევუთანხმდეთ, ანუ მივსდით ჩვენს საკუთარს რწმენას და მიმართულებას და ამ გვარად, ძალა-უნებურად, გავუმკლავდეთ საზოგადო მიმართულებასა. კაცმა რომ შესწიროს თავისი წმინდა და უმაღლესი რწმენანი პირადი ანგარიშებისათვის—ეს ერთობ უზნეობა და საზიზღარია; წავიდეს კაცი საზოგადოების წინააღმდეგ, სად მოიპოვოს ამისი ძალა? ამისთანა ბრძოლისათვის სრულიადაც არ გვაშაბდებს ჩვენ აწინდელი აღზღა-განათლება. იგი არ ზრუნავს, ჩავიბეჭდოს ჩვენ უმაღლესი, ადამიანური რწმენანი, ის მხოლოდ იმის დავიდარაბაშია, გამოზარდოს სწავლულები, იურისტები, ექიმები, სალდათები და სხვ. ცხოვრებაში კი რომ შედიხარ, კაცს უნდა ჰქონდეს რაიმე რწმენა, სურს გითვალისწინოს, რას წარმოადგენს იგი, რა აზრი და დანიშნულება აქვს იმასა. თავის თავს რომ შინჯავს, ჰპოულობს მზამზარეულ გადაწყვეტილებას ამ საკითხებისას, რომელიც მისთვის აღზღას მიუცია; საზოგადოებას კი რომ გაეცნობა, იქ ამჩნევს თავის აზრების და გადაწყვეტილებათა სრულიად საწინააღმდეგოსა. იმას სურს ებრძოლოს ბოროტებას და ყაღბს ცხოვრებასა, მაგრამ საუბედუროდ ძალა არ შესწევს, მისი აღზღა უძალია ჩნდება შესაბრძოლებლად: იგი საბრძოლველად არ არის შემზადებული, იმან უნდა გარდაჰქმნას თავი თვისი, რომ ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდეს. დრო და ცხოვრება კი არ გვაცლის, გარბიან წლები, საქირაა მოქმედება... ხოლო ადამიანი მოქმედებს, როგორც მოხვდება, ხშირად ტვირთ ქვეშ იღუპება, იქვეყება, ხან აქეთ აქანებს მას ტალღა ბრბოსი, ხან იქით, იმიტომ რომ თავის თავად მოქმედება არ შეუძლიან, მასში შინაგანი ადამიანი არ არის აღზდილი, მასში რწმენანი არ მოიპოვებია. რწმენა კი ადვილად არ ეძლევა ადამიანსა. მხოლოდ იმას შეუძლიან იქონიოს იგი, ვინც პატარაობითვე შეჩვეულია გონების თვალთ იხედებოდეს თავისსავე თავში; ვინც თაობითვე შეჩვეულია გულწრფელად უყვარდეს სიმართლეს, მისთვის თავი გასწიროს და ძალადუტანებლივ გულ-ღია იყოს, როგორც მასწავლებლებთან, ისე ტოლმზაგებთან“.

აი პიროგოვის დედა-აზრები, რომელიც აქვს მოყვანილი დობროლიუბოსა. იგი მთელს ბოროტობას ხედავს აღზღაში და თავის აზრებს გასაოც-

რის ძალით ამტკიცებს. უწინდელი სწავლა-აღზღა ერთს წერტილზე სდგას, ისე რომ ნ. პიროგოვის აზრები და მისი მისწრაფებანი ჯერედ კიდევ დარჩენილი არიან „ხმად, მლაღდებლად უდაბნოსა შინა“. ნ. პიროგოვის მისწრაფვა იყო - აღზღა ნამდვილის ადამიანისა. პირველ ხანებში კარგად მიდიოდა საქმე, მაგრამ იმ ხანადაც, როგორც ყოველთვის, გაჩნდნენ რეაქციონერები, დაჰკრეს ნაღარა, ხოტბა შეასხეს ძველ რეჟიმს სწავლა-აღზღას; რუსეთის მწერლობა იცავდა თავგამოდებით „როზგას“; 1857 წ.—ამბობს დობროლიუბოვი,— იწერებოდა მთელი ტრაქტატები იმაზე,

„Какъ чловѣка разложитъ,—

По строгимъ правиламъ науки“...

აი ამისთანა დროს, როცა „როზგი“ მეფობდა, ჩამომიყვანეს სასწავლებელში. მე, ბავშვს, წარმოდგენილი მქონდა, რომ მამა-შვილურად მომეპყრობოდნენ. პირველ შესვლასვე ეგვრდნენ ჯოჯოხეთის ალი: კლასში იდგა გნისი, ყვირილი, ტირილი—ამას როზგს სცემდნენ ტიტველა ტანზე, იმას სახაზავს უტყაპუნებდნენ ხელზე, ან თავზე, ზოგს თმას აწიწკინდნენ, ზოგს ყურებსა—ეს ორი უკანასკნელი სასჯელი უფრო შედავათიანს სასჯელს წარმოადგენდა.

„პირველი და უმთავრესი საგანი,—ამბობს ე. ე. რუსსო,—რომელიც უნდა ისწავლოს ბავშვმა, არის ტანჯვის ატანა“. მოგეცათ დღევრძელობა, ჩვენ ტანჯვის ატანა შევისწავლეთ! ისე შევეჩვიეთ და შევეზილეთ ტანჯვას, რომ იმის სუსხს აღარც კი ვგრძობდით, მივდიოდით კლასში არა იმიტომ, რომ მასწავლებელი გვასწავლიდა რასმეს, მამა-შვილურად მოგეპყრობოდა, პაწია გულს, გულს დაჩაგრულს, გაწყალებულს და გაყინულს გაგითბობდა, არამედ სატანჯველად. მასწავლებელს ყინი მოუვლიდა და მთელს კლასს გაროზგავდა, ან თვით დიკავებდა როზგის კონას ხელში, ჩამოუვლიდა და ყველას სათითაოდ გადუშუილებდა თავბირში. ვაი იმას, ვინც თავს აარიდებდა და როზგს აცილებდა! მაშინვე გაათრევდა შუაზე და როზგს ქვეშ გველივით გააქრებდა. იცოდი გაკვეთილი, გცემდნენ, არ იცოდი, გცემდნენ, ასე რომ მცოდნე და უცოდნელი ერთს ბაჩაში გამოდიოდნენ. ამიტომაც იყო, რომ მთელს კლასში, რომელშიაც ხშირად ორმოცამდე მოსწავლე იყო, სულ ორმა-სამმა თუ იცოდა გაკვეთილი. ზოგი ისე შეეჩვია როზგსა, რომ აღარა გრძობდნენ ტკივილსა.

ზოგი ვერ შეეჩვია ტანჯვასა, ვერ შეისწავლა ეს „საგანი“; ამისთანები გაურბოდნენ სასწავლებელსა, დღე ისე არ გაჟიდოდა, რომ ორი—სამი მოსწავლე, ხან ათიც, არ გაპარულიყო სკოლიდან, გარბოდნენ სამშობლო სოფელში კი არა, სხვაგან სადმე, დგებოდნენ მოჯამაგირედ, შინამოსამსახუ-

რედ რომელიმე ბატონის ოჯახში, ან რომელიმე მეჯოგესთან. მაშინვე ფეხზე დადგებოდა პოლიცია, გააგებინებდნენ მშობლებს, გაჩნდებოდა ძებნა. მალე გაბაწრულებს მოაბძანებდნენ სასწავლებელში. აი, მაშინ საინკვიზიცია სასამართლო, მასწავლებლებისაგან შემდგარი, მიუსაჯავდა ტყვეს 50—100 როზგას, თავზე დახურავდნენ ქაღალდის ჩახსა, ზედ ეწერა: «ზარბაქი ურჩი»; შეჭკრებდნენ ყველა შეგირდებს დიდს ოთახში, ჩამოატარებდნენ და ყველა შეგირდს ან უნდა მიეფუროს ხებინა ტყვე—ამხანაგისათვის; ან, ეთქვა: ფუი, შენს კაცობასა!; როგორც კი გადასწყვეტდა სკოლის ინკვიზიცია; შემდეგ ამ ცერემონისა წამოაქცევდნენ და შიშველა ტანზე ურტყავდნენ მოქნილს წყებლებსა. ხშირად, ძალიან ხშირად სისხლისგან იცლებოდნენ და გულშეწუხებულს ძლივს აბრუნებდნენ ცივის წყლითა.

აი ამაში მდგომარეობდა ჩვენი აღზდა-განათლება. ცემა-ტყეპას ჰირი მოუქამია, უშვერის ლექსით გვაგინებდნენ, ბაზაზანურად. მაშინდელი მასწავლებელიც რა გასამტყუნარია: რაც მიიღო სასწავლებელში, იმას იძლეოდა; იმაში ადამიანობა ვინ აზარდა, რომ ადამიანურად მოქცეულიყო; რაც ითესებოდა, ის იმკებოდა.

სწავლება რა ენაზე მიდიოდა, ღმერთმა უფუწყის: არც რუსული იყო, არც ქართული, რადაცნაირი ენათა შერევნა იყო: რუსული არავის გვესმოდა, ძალაუნებურად ქართულად გველაპარაკებოდნენ; ითარგმნებოდა რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად; თვით ქართული ენა საგნად არ იყო მიჩნეული. მხოლოდ ხუცურს გვასწავლიდნენ; სახელმძღვანელოდ დავითნი იყო, გავიხაზამდნენ წიგნში გაკვეთილსა — აქედან აქამდე დაისწავლეთო. ახსნა გაკვეთილისა ხომ „მოღათ“ არ იყო. რუსული რაკი არ გვესმოდა, ვიტყვით თავსა, ვიზებირებდით იქნამდე, მინამ თავი შესწყვეტდა მუშაობასა. მეორე დილით აღარაფერი არ გვახსოვდა. მივდიოდით დილით თავბრუ დასხმული.

— რატომ არ დაგისწავლია, შე ასეთ-ისეთო! დაიდრიალებდა მასწავლებელი, შეგვიხურებდა ლოყა-ყურებსა, მერე მორიგეს გადაბზღვერდა და უბძანებდა: „როზგი!“ — გააწვინეთ ეს ძაღლის წიწილი!...

ლანძღვა-გინებით იწყობოდა სწავლა და მითივე თავდებოდა. ამ საშინელებას მხოლოდ სამი-ოთხი შეგირდი თუ უძლებდა, ამ სამს-ოთხს თუ შერჩებოდათ ხოლმე თავში ტვინი, თორემ დანარჩენნი სულ გამოლყენდნენ. კლასიდან კლასში ძღვენის შემწევობით გადავდიოდით. თითო მასწავლებელს, რომ ტყუილი არ გამომივიდეს, საშობაო, სააღდგომო და საორთვეო ეგზემენების წინ, მოუვიდოდა

ოც კოდამდე გარეცხილი და კარგად დაკმაზულის ხორბლის ფქვილი, ორი-სამი ჯოჯა ღვინო, ნაზუქები, ქათამი, ინდაური, გოჭი. შობა-აღდგომის შემდეგ კიდევ სხვა. რასაკვირველია, გადაყვანა კლასიდან კლასში დამოკიდებული იყო კარგს და მადიანს ძღვენზე. საწყალი ერთ ქათმიანი, ან ერთ ინდოურიანი მძღვენე რიყზე რჩებოდა; ვინ აღირსებდა გადასვლას. ამიტომ ღარიბი ოჯახის შვილები ოთხი ხუთი წელიწადი რჩებოდნენ თითო კლასში, ხშირად შეხვდებოდით სასულიერო სასწავლებელში ოცი წლის მოწიფულს ვაჟიკსა, რომელთაც კრივში და ქიდაობაში ჰქონდათ განთქმული სახელი. ჩემს დროს, მაგალითად, გორის სასულიერო სასწავლებელში ორი გამოჩენილი მოკრივე იყო: ნოზაძე და თვალთაშვილი, მოქიდავეებში ამბრიაშვილი. თვით მასწავლებელს მიჰყავდა ესენი საკრივოთ და საქიდაოთ, მასწავლებელი ივანე ილურიძე დიდი მოყვარული იყო სპორტისა. კვირა საღამოს საკრივოზე მოიყვანდა ნოზაძეს და თვალთაშვილსა; ეს ორნი შევიდოდნენ თუ არა, მაშინვე გადასწყდებოდა ბედა გამარჯვებისა. უბანი უბანს ეცილებოდა ამ ორს მოკრივეზე. ამბრიაშვილს ხო ქიდაობაში კაცმა ვერ გაუძლო.

თითქმის ყოველ საღამოს სკოლის ზედამხედველის თანაშემწეოდა ბ. ილურიძე დადიოდნენ ქუჩა-ქუჩა, გზად შეივლიდნენ რომელიმე შეგირდის ბინაზე; ვაი იმას, ვისაც მოასწრობდნენ ეზოში თამაშობა-გართობაზე. არ შეიძლებოდა თამაშობა-გართობა სკოლაში, არ შეიძლებოდა სკოლის გარეშე. ერთხელ, მახსოვს, ზაფხულში რამდენიმე შეგირდი, წირვის შემდეგ, მტკვარ გაღმა, გორისის მთაზე ავედით მარწყვის მოსაკრეფად. შეუნიშნვივართ მტკვრის პირიდან ინსპექტორს ბ. ლაშაურს და მასწავლებელს ილურიძეს. ჩვენც შევნიშნეთ მღვეარნი. მივიმალენით ბუჩქებში. ჩაუვარდათ ხელში ჩვენი ამხანაგი, აუწიეს ყურები და თხასავით ააჩხავლეს:

— თქვი, შე წუწკის შვილო, ვინ არიან აქ შენს გარდა!...

საბრალომ ტარილით ჩამოთვალა ჩვენი სახელები. ყველას ლოყები შეგვიხურეს, დავტყავს. შეშურდათ პატარა ხანს გვესუნთქა წმინდა ჰაერით, დავმტკბარიყავით ბუნების სიმშვენიერით, ფრინველთა უღვივლით. კუდრაქა ჩხიკვამა კუნელის ბუჩქიდან სიცილი დავგაყარა და ჩვენს მტარვალებს მუშტრის თვალთ ახედ-ჩახედა.

ათასრვას სამთცდა ორი წლიდან ნელნელა იკლო ცემა-ტყეპამ, მაგრამ ძალიან თვალსაჩინოდ კი არა; მხოლოდ მოცადინე შეგირდებს აღარა სტყებდნენ. ისე დამონებული ვიყავით, უცხო კაცს ჩვენი დაყვავება რომ სდომიყო თავზე ხელის დასმით, გავუბოდით. ერთხელ სემენარის რექტორი ვიქტორინი მოვიდა ეგზემენიაზე, ზოგიერთებს სა-

ჩუქრად წიგნები დაგვირგია. ძალიან თავზიანი კაცი იყო, როცა ვათავდა ვგზემენია, გამოუძახა იმათ, ვინ კარგად მოუგო. ერთს ბავშვს ხელი წაატანა, თავზე უნდა დაესვა ხელი, ბავშვს ეგონა სილა უნდა მკრასო, გაღიხარა, თავი ამხანავს მიართყა და ცხვირიდან სისხლი აღინა. გაუწყრა მასწავლებელს, რა არის ესა, ცემით ბავშვები გავინადირებიათო.

მახსოვს სამოციან წლებში, მგონი 1863 წ., ჩვენს სასწავლებელში მოვიდა იაკობ გოგებაშვილი, ხმა დავარდა, ახალი მასწავლებელი მოვიდაო. იაკობს თან მოჰყვა ლამაზი სახის მღვდელი, რომლის სახეს უფრო აღამაზებდა და აბრწყინებდა სპეტაკი; თეთრი წვერი. ეს მღვდელი იყო მამა იაკობისა სვიმონი. ბედმა არ გვარგუნა ჩვენ იაკობი. იგი დანიშნეს ტფილისის სემენარიაში მასწავლებლად. ტფილისში სამოციანი წლების სხივმა შეაშუქა, როგორც სწავლა-აღზღის საქმე, ისე მწერლობისა წაღმა დატრიალდა ჩვენშიაც. პირველი სხივი ადამიანურის აღზღისა იაკობ გოგებაშვილმა შეიტანა ტფილისის სემენარიასა და სასულიერო სასწავლებელში. როცა იგი სწავლობდა კიევის აკადემიაში, სწორედ მაშინ მოქმედებდა კიევის ოლქში ნ. პიროგოვი; უეჭველია, იაკობს, როგორც ნიკიერს ახალგაზდას, ყურადღებიდან არ წაუვიდოდა სამოციან წლების ახალი მიმართულება სწავლა-აღზღაზე, რომელსაც პიროგოვი აღიარებდა. იაკობის ჩამოსვლიდან ტფილისის სასულიერო სასწავლებელში ახალი ხანა დაიწყო სწავლა-აღზღისა, რომელიც მას არ დაუფასეს.

სამოციან წლებში თურმე გორში სცხოვრობდა მამა მთავარი ჩვენი თიატრისა, მისი დამფუძნებელი, პირველი ჩვენი დრამატურგი, პოეტი **გიორგი ერისთავი**, რომლის შესახებ აკაკი ამბობს: «ფოლადი თუ ტალს არ მოხვდა, ისე ნაპერწკალს ვერ გაჭყრის! და თუ ცოტა არ მოღამდა, ვირსკვლავები თავს ვერ იჩენენ».

«ერთი ამ გვარი მოღამება ჩვენში **«ყაზარმაზა»** იყო».

«ამ დროს გამოჩნდნენ მამულის-შვილები, აქ გავარდა ნაპერწკალი და თანვე მოჰყვნენ მგონები, რომელთა რიცხვში ყველაზედ უფრო შესანიშნავად ბრწყინავს თ. გ. ერისთავი».

აი ეს ბრწყინავი ვარსკვლავი სცხოვრობდა გორში, ჩვენ კი, აგერ დავაუკაცებულმა შეგირდებმა, არ ვიცოდით, რომ ჩვენთან ერთად ცხოვრებდა დიდებული მამულიშვილი. კარგად მახსოვს მისი სახე, ჯერ კიდევ ჭაღარა არ მორგოდა, შავი სქელი უღვაში, და აქეთ იქით ლოყებზე ჩამოშვებული ბილები უშეფიქრებდნენ ბადრს სახესა. იგი ცხოვრობდა გარეთ უბანში, სააკოვის სახლებში,

რომელიც დღესაც სდგას! მეც სწორედ გარეთ-უბნის ახლო ვიდექი, ხშირად ჩვენი კარებისაკენ გამოივლიდა ხოლმე ფეხითა, ჯოხს ძალიან ეყრდნობოდა, ეტყობოდა, ფეხები სტკივოდა. უბნის ხალხი მას **გულხარის** ეძახდა. არა ვინ კი არ იცოდა, თუ რა ღვაწლი მიუძღოდა **მას გულხარისა** სამშობლოს წინაშე.

მახსოვს, ახალი ჩამოსული ვიყავ სასწავლებელში საორთვეოს შემდეგ\*), ენკენისთვის დასაწყისი იყო; დიდ-ძალი ხალხი მოვიდა გორში. ორბელიანიც მოვიდაო, ორბელიანიცაო, ყვიროდა და ხმაურობდა ხალხი. ეს იყო გრიგოლ ორბელიანი. მოსულიყვნენ თ. გიორგი ერისთავის გარდაცვალების გამო. იგი გარდაიცვალა 1864 წ. ენკენისთვის დამდეგს. მის ბიოგრაფიაშია ნაჩვენები დღედ გარდაცვალებისა ენკენისთვის ცხრა.

დიდძალი ხალხი მოზღვადა გორში, უჩვეულებრივო ამბავი იყო. შეგირდებიც კი დაგვითხოვეს იმის გამოსვენებაზე, ეს უფრო გვიხაროდა. გარეთ-უბნიდან გორის მიძინების საკრებულო ეკლესიაში გამოასვენეს. ბავშვები დავძვრებოდით ხალხში. მახსოვს, სოფლიდან ჩამოსული გლეხები ტიროდნენ, დედა-კაცები ხომ სულ იხოქებოდნენ ტირილითა. თურმე პოეტის ნაყმევები იყვნენ, რომელსაც ისინი ბატონყმობის გადავარდნამდე გაეთავისუფლებინა. შევიტყეთ ისიც, რომ პირველი პიონერი ბატონყმობის გადავარდნისა ჩვენში იგი იყო; მეზობელი თავადები, სახლი კაცები წყველა-კრულვითისხენიებდნენ პოეტსა.

იქნებ გრძნობდა, ბატონყმობის გადავარდნას ვერ მოვესწრებო, წინაღვე გაათავისუფლა თავის ყმანი, რომ დამტკბარიყო მათის თავისუფლებით, რომლის დამყარებისათვის კაცთა შორის მრავალჯერ აძვრებულა მისი სხივ ბრწყინვალე გული და რომლის გულისათვისაც ცივი ქვეყნებიც აჩვენეს.

გ. ერისთავი გარდაიცვალა 9 ენკენისთვის 1864 წ., ბატონყმობის გადავარდნა გამოცხადდა გორში 8 ნოემბერს იმავე 1864 წ. მისი ჯერ ისევ სველი სამარე იგრძნობდა ხალხის შეგებას და იგიც სამარეში იშვებოდა და იხარებდა.

## ს. მგალობლიშვილი.



\*) საორთვეოს ვეძახდით ზაფხულის კანიკულებსა.

# უპეზოს თაზალი

დრამატული პოემა ხუთ მოქმედებად.

ამ ჩემს მტარე ნაშრომს, სიძნელე დრმა ზატაფისტე-  
მისა და სიუჟარულისა, ვუძღვნი ვ. გუნას, ს. ფირცხა-  
ლაფას და კ. ფოცხვერაშვილს.

## მ რ მ მ მ მ დ ნ ი პ ი რ ნ ი

ამო — შვების თავადი.  
ციაგი — მზის ასული და  
დედოფალი მშვენი-  
ერებისა.  
გია — ზღვის ასული.  
სიო — ციაგის დობილი.

იმედი  
თავისუფლება  
სიყვარული  
სიხარული  
სიბრძნე  
სიმდიდრე  
ხელოვნება  
მშვენიერება  
ბედნიერება

უდრკელი,  
გულმაგარა,  
მკლავძლიერი  
ბუნებარ — წინასწარმე-  
ტყველი.

ციაგის ამაღლა.

ამოს  
მეგობარნი.

კილვია — მასხარა.  
მისანი.  
შავი დევი — მეუფე  
წყვდიადისა.  
ავცია — მახინჯი ძე ადა-  
მისა.

ფათერაკი  
ჭირი  
მწუხარება  
სევდა  
შური  
შიმშილი  
ხიფათი  
სიკვდილი — ჯალათი  
შავი დევისა.  
ენატანია — ჯაშუში.  
ყორანი, ქაჯნრ, მეო-  
მარნი, ხალხი, მზარე  
ქალნი, მუტრიბთა გუნ-  
დი და სხვა.

ნაზირ-ვეზირნი  
შავი დევისა.

## მოქმედება პირველი

მთა-კლდიანი ადგილი

სტენის სიდრმეში აღმართულია მადალი მთები. მთე-  
ბის ფერდობზე სისლია ჩაწალიდი; ხოლო მთის წვერ-  
ვალზე, — ძალიან შორს — მოსჩანს ბრძლის ცხე, რომ-  
ლისკენაც იდუმალი ბილიკი მიდის, საღს კლდეზე სდგას  
ავეია. იგი მახინჯია: კუსიანი, კოჭლი და სხვის უმსგავ-  
სო მოყვანილობისა. ავეიას გვერდით შური ატუს ულა და  
ხელები ავეიასკენ გამოუწვდა, თითქოს სულში უნდა  
ჩაუტყრესო.

გამოსვლა პირველი

ავცია და შური

ავცია. ხა, ხა, ხა, ხა!  
შური. ხა, ხა, ხა. ხა!  
ავცია. მაშ შენც იცინი?

შური. (ბორბოტად იფანის და თან თავს აჩქევს) დიხ,  
დიხ, შენი შემყური!  
ავცია. მე რომ ვიცინი, საბუთი მაქვს... დამიგდე  
ყური:

იქ დაბლა, სოფლად, შვების თავადს ავეირ-  
გვინებენ...

გუნდრუკს უკმევენ, შეჭბარიან, შეჭლაღლებენ.  
ჩემი განზრახვა რაც კი იყო, ვცემდი ნალარას, —  
უცხად დამენგრა და ვესწრაფვი აწ კი აღარას.  
ამო შეიქმნა დიდი მეფე ხალხთა შვებისა,  
ბედმა არგუნა ტრფობის ჟამი, აღტაცებისა.  
და დამარცხებულს ჩემსა თავსა მევე დავცინი...  
იმით დიდება, — სატანჯველად მე კი ნაცილი!

შური. ჰო, სწორედ, სწორედ... მეც მანდა ვარ,  
არ მერიდება:

შენ ხარ მშიშარა, მიტომ ავცია სოფლის დი-  
დება.

მეც შენს სისუსტეს დავცინობდი — სხვა არაფერი.  
მულამ ბედს სჩივი, მწარედ მოსთქვამ და არკი  
მღერი.

ავცია. ჩანგი წამერთვა და ციაგი სატრფო გულისა,  
გამკურნებელი და მალამო შავის წყალულისა!  
ულრკელი თვისად მეგობრად ჰყავს. ემორჩი-  
ლება.

ამოს სახელი ზეცას სწვდება, არ იჩრდილება.  
განა ჩემს შუბლსა გვირგვინი ვერ დამშვე-  
ნებდა? —

ჩემი ჩანგიც ხომ ხალხს სიტკბოსა მოაჩვენებდა?!  
რად არ მომხედა მზის ასულმა წყალობის თვა-  
ლით?

სხვას შეეთვისა, მე ამავსო მწუხარე შხამით.  
და დღეს მზადა ვარ, ყველა მოვსრა, ხალხი  
ავშალო;

მშვენიერების და სიტურფის კვალი წავშალო.

შური. შენ ეგ წადილი, სულის ნატერა ავსრულ-  
დება.

ავცია. გამიმეორე!

შური. კვლავ დიდება დავბრუნდება!

ავცია. სხვის წამებაზე თვით აღვაკებ ბედნიერებას!

შური. იყავ სასტიკი, ნუ შეისმენ ჩივილ-ვედრებას!

ავცია. მსურს შავმა ძალამ დაატეხოს რისხვა  
მგრგვინავი.

შური. შენკი გაბრწყინდე და შეიქმნე ლალად მფრი-  
ნავი!

აი, რას გირჩევ: ვინც შენ ეხლა გამოგეცხა-  
ლოს,

უშიშრად მიჰყე, გამარჯვებას შენსას ეცადოს!

ავცია. (გულზედ მიაკრავს და ქაფურსება)

მოვიდეს — მზად ვარ! მე თვით ვიყავ მისი მნატ-  
ვრელი!

ჩემგან მიიღოს, რაც კი ჰსურდეს — შექმნას  
მტანჯველი!

მანა გაიზიარა, ჯერ ცენტრის ალი ამოვარდება და შემდეგ გამოიხსნება შავი დევი. უკან მოსდევს ნაზირ-ვეზირნი.

გამოსვლა მეორე

ივნივე: შავი დევი და ნაზირ-ვეზირნი: ფათურაჯი, ჭირი, მწუსარება, სუედა, შამშალი, ხაფათა და სიკვდალი.

**დევი.** ვსცან საიღუმლო და მაგ გულის წყრომი დიადი

ჩემი ფრთა გფარავს და გინახავს შავი წყვილიადი. თამამად წადი და მე თითონ დაგეხმარები.

მძლეოთა-მძლეად გახდი, ჩემს მეგობართ დაედარები!

**ავყია.** მითხარ, ვინა ხარ, სადაური, რომელ არისა? სამყაროს შვილი, თუ მფლობელი ვარსკვლავ მთვარისა?

**დევი.** ზეცა სხვისია და იქ სხვები განიხარებენ, სადაც მე ვუფლობ, იქ შენც ერთგულს შეგიფარებენ.

მე ვარ წყვილიადის დიდი მეფე — მემონებანი. გრძნეულის ძალით ქაჯნი სამტროდ აღიგზნებანი.

სამყაროს სულთან დავიბადე — განუყრელი ვარ, წინ ვუსწრებ ბოროტს და სიკეთის დამღუპველი ვარ!

მომესმა მოთქმა, ბოღმით სავსე სულის ჩივილი; მე ძალმიძს შევებით მიგიყურო მწარი ტკივილი, თვითვე დაგადგა თავს გვირგვინი დიად ძლევისა,

ავიგო ზღუდე უკუნუთის, ღამე-ბნელისა!

**ავყია.** ვიშ! დავამხოვდი შევების თავადს, გავსრესდა ძალით;

ტყვედ შევიპყრობდი იმის სატრფოს ცოცხლის თავით.

ხალხსა აღვძრავდი ერთმანეთზე ვიშით, ვაგლახით.

და ვალოცებდი სხვა სალოცველს ქედის ძირს დახრით.

მიყვარს, როს ვხედავ დაჩაგრულსა; ტანჯვით მწუხარეს;

როს თავს დავატებ მკვეთრსა რისხვას, ელვით მქუხარეს.

**დევი.** მე ავისრულებ, მე ვიქმნები დიდი მფარველი! **ნაზირ-ვეზირნი.** ვინ შეგეძაროს! მსწრაფლ შეძრწუნდეს ყველა მნახველი.

**დევი.** მძულს კაცობრივი, მსურს მოვუსპო კეთილდღეობა;

**ავყია.** რა ქეიფი აქვთ, რომ იცოდეთ, რა რეობა!

**დევი.** მხოლოდ ძე მათი, სხვა კი ვერვინ მიეკარება ხალხს მის გარეშე ვერვინ დასცემს, გაუმძლავრდება!

**ავყია.** ეგ მე მომანდე და ვერცა ვინ შემედარება... მე გიერთგულებ, თუ ბოროტი დაემყარება!

**დევი.** შენ დღეის შემდეგ შეიქმნები მძლავრობიანი. ხალხის ბედ-იღბალს შენ განაგებ რისხვა-ხმიანი. ამ ყავარჯენსა შენ გადმოგცემ — გემსახურება. ოდეს რაც გსურდეს, ის ინატრო — ავისრულებ!

თუნდ ცეცხლს აწვიმებ, გრივალს დაჰბერ სასტიკ ხმიანსა

თუნდ ამოაგდებ ქარეშხალსა და თუნდ ნიაცისა! ხალხს როგორც ეტყვი, შენს ფეხის ხმას ისე აჰყვება

აღმართზე ახვალ ამოგყვება, დაბლა ჩაგყვება. ოდეს შესცოდავს ხალხი ციაცს, გადმოიბირებ, ავისრულდება, რასაც გულით შენ დააპირებ

**ავყია.** წავართმევ ციაცს.

**ნაზირ-ვეზირნი.** და დიდებაც დაგიბრუნდება! ხალხი შეგაქებს, სულსა ნამი დაგეპყრება!..

**დევი.** ჩემი ვეზირნი შენ გეახლდნენ, მოიმსახურებ; კუბოს ფიცარი შენს მეტოქეს უღვდოდ დაჰხურე!..

**სიკვდილი.** არა გემტყუნო ჩემს ერთგულს,

ცელი თან დამაქვს ფხიანი; სადაც კი გავჩნდე ანაზღად, აღამსა მივცე ზიანი!

ყველა მტვრად გარდავაქციო და პირველ ყოფილ არარად; სავანე მივსცე სიჩუმის, უკუნის ორმო საფარად.

ვინც მიგონებდეს — შიშობდეს, ჩემის აჩრდილით კრთებოდეს; თვით უძლეველი თავადი ჩემის რისხვითა დნებოდეს!

**შიშშილი.** სული შევეუქათო სიყმილით, მძლავრი გარდავქმნა უძლურად;

ცოდვა თვით დავატრიალო, თვითვე მოვედო გულს მურად. მშიერი ხორცსა იგლეჯდეს, სისხლს ჰღვრიდეს მეგობრისასა!

ნათესავს აღარ ინლობდეს, მახვილსა სცემდეს მტრისასა!

**ჭირი.** შავბნელი ავამტყოფობა შობით თან დაყოლილია;

სიკვდილის პირად მე მიმყავს მოხუცი, თუნდა ჩვილია! ძალგულოვანი ძირს დავცე, გლოვა ვაქეპო მქუხარე;

ჩემით აკვნესდეს ყოველი და ცრემლი ჰღვაროს მდულარე. სიკოცხლე ადრე დავაქნო, სალხენად აღარ ჰყვავოდეს;

ღიმი მოეუსპო, დავაღპო, ყორანი ლეშხედ ჩხაოდეს.



**მწუხარება.** ლენცოფას შხამი მე მივცე,  
 ბასრობდეს გველთა ნეშტარი;  
 ვისთან მივიდე—იგლოვოს,  
 თუნდ ღია იყოს ნეტარი!  
 სევდით დაენამო ტრფიალნი,  
 მიჯნურნი მწუხარებითა;  
 პირველსა კოცნას თან ვსდო,  
 ვსტანჯო დამწველის გრძნებითა!

**ხიფათი.** ცოდვილსა მახე დაფუგო,  
 ორმოს ჩავაგდო ღრმისა;  
 მეუფე დავაქვეითო,  
 მივცე ტანჯვისა მღვიმისა!

**სევდა.** ამაყი შავად დავთალხო,  
 გლოვა ისმოდეს, ზარია;  
 რომლის ოჯახშიც შევიქრა,  
 ვერ ნახოს გასახარია!  
 ბინდი მოფენო სიყვარულს,  
 მოსთქვამდეს, სატრფო ჩიოდეს;  
 გული დავუწვა საბრალოდ  
 ცეცხლი-კი არა ღვიოდეს!

**ღევი.** ეხლა მშვიდობით! აქა ვსტოვებ ჩემს ნაზირ-  
 ვეზირთ  
 —თქვენ მასთან დარჩით, ემსახურეთ და აღიგ-  
 ზენით.—  
 ამ ყვარჯენით აგისრულოდეს სურვილ-ნებანი:  
 და თუ დაჰკარგე—განგიქარდეს გრძნეულებანი!

ყავარჯენს გადასცემს და გაჭქრება. მოეპის გადაღმა ის-  
 მას სიმდენა. ხაჯხი დიდის ზეიმიით შეეპის თავადს  
 მოატილებს. გასს მებრძოლნი ახვევია. ჰჯერსა დროშები  
 ფრიალებს.

**მებრძოლნი (მღერან)**

ვერ შეგვაკრთობს ავი ძალა...  
 ჩვენ მებრძოლნი ვერ დაგვძალა!  
 ჰარალე,  
 თარალე  
 ედემს ვპოვებთ  
 მალე!  
 წინ, წინ იარეთ  
 და ბრძოლაში იამეთ!

ჩვენი ხალხი დავრდომილი,  
 უნდა ვნახოთ აღდგომილი  
 ჰარალე,  
 თარალე,  
 გავიმარჯვებ  
 სულ მალე!  
 წინ, წინ იარეთ  
 და ბრძოლაში იამეთ! (ამას ხშირად იმეორებენ)

თვით გაკაფოთ ეკალ-ნარი,  
 ავაყვავოთ მთა-და ბარი!  
 ჰარალე... და სხვა

შვილებს მივცეთ მომავალი,  
 მოვიხადოთ ჩვენი ვალი!  
 ჰარალე...

გამოსვლა მესამე

ივინავე. ამა, უდრკელი, ბუნებარ, კელავა, მებრძოლნი  
 და ხაჯხი.

**ამო.** ხალხო! ვის რაცა აკლია,  
 წავალ და შევსთხოვ ჩვენს მფარველს;  
 ის უხვად დაგაჯილდოვებთ  
 და გადაგიყრით გულს ნადევლს!  
 ვისაც კი ცოდვა მიუძღვის,  
 ან გული შურით ავსია;  
 მეგობარს მტრობდა ერთგულსა,  
 დიდი ბოროტი, ნავსია,—  
 უგულვებელი დარჩება,  
 სულს შეუშფოთებს წუხილით;  
 თემსაცა გამოერჩევა,  
 მეხი მას შთანთქავს ქუხილით.  
 უდრკელო! დარჩი, მამულის  
 ზღუდენი გებარებოდეს;  
 არ აღიმადლონ მახვილი,  
 არცა ვინ შიშით კრთებოდეს

**უდრკელი.** ჩვენ ვინც-კი გვეურჩებოდა,  
 კეთილის იყო მგმობელი;  
 არ დავარჩინეთ, თავადო,  
 არცა თუ ავის მყოფელი.  
 მტერი ვაოტეთ. გავსდევნეთ,  
 დამშვიდდა ესე სოფელი;  
 ერთგული ვსდგევარ შენს წინა  
 და სხვა ბრძანებას მოველი.

**ამო.** ის გველ-ვეშაპიც მოჰკალით,  
 წყალთან რომ დაუბუდია;  
 მისი განზრახვა ჩვენდამი  
 სახიფათო და მრუდია!

**ბუნებარ.** ამბობენ: სწამლავს მდინარეს,  
 სწივის და გამვლელს აშინებს;  
 იმ მხარეს მამვრალთ კერასა  
 ძირსა სცემს, უღვთოდ ამშვივებს!

**ამო.** არა მსურს, ერთგულ ხალხთ შორის  
 ნაკლი რამ იყოს პატარა;  
 გზა მივცეთ ნეტარ სიამეს,  
 ჰხარობდეს ბერი, ქალარა!

**უდრკელი.** ჩემი მარჯვენა ერთგული  
 მორჩილად გემსახურება;  
 მეგობართ გამბედაობას  
 ვერცავინ დაემდურება!

**ბუნებარ.** მამულის დაცვა მტერთაგან  
ვაყვასა მოეთხოვება;  
თავგანწირულსა მებრძოლსა  
ხალხი გულს ჩაეკონება!

**გულმაგარა.** მე აღმოსავლეთს დავიცავ!  
**მკლავძლიერი** მეც დასავლეთით ვიქნები;  
**მებრძოლნი.** ჩრდილოს და სამხრეთს ჩვენ წავალთ,  
თან გვეყვანან მოყმე გმირები!

**ხმები ხალხში.**—თქვენ აყვავებთ გარემო,  
ბოროტს დაეცით თავზარი;  
— და მოგვევლინა სინათლე,  
განქრა უკუნი საზარი!  
— ჰხარობს და ჰლაღობს მაშვრალი,  
ვართ მადლიერნი ამისა;  
— თანხმობით ვცხოვრობთ, რას გვავენებს  
ეშმაკი, მტერი საქმისა!

**აფხია.** (რომელიც განმარტობით იდგა და გუფი ბოღ-  
მათ ეგსებოდა, წინ წამოდგება და ამის მიჭმართავს  
ბიწფერობით)  
საით მისდინარ, თავადო,  
ამო, სად მიეჩქარები?

**ამო.** დაღრეჯილობით რად მიმზერ,  
მნახველსაც შეეზარები.

**კილვია.** სახე სარკვე სულისა...  
— ჩვენ ვერსად, დაგვემალეები.

**აფხია.** (კილვიას). რა ღეთის წყრომაა, რა არის,  
რომ ყველგან ჰომეზმანები  
უდროოდ კილვა არ მომწონს  
და სიტყვა ლამაზმანები!

(ამოს). იდილოს შენი სახელი,  
მტერსაც ნუ გაუხარია;  
იკურთხოს შენი მარჯვენა  
ჩვენი დამცველი ფარია!  
უძლეველი ხარ ამ ქვეყნად,  
ვფხოვ მაღალს მეტსა ძლიერბას

**კილვია.** (იქით მკრამ მკსაგანად).  
მახინჯნი სრულად გარდაჰქმნა,  
დიდსა აძლევედ მხნეობას!

**აფხია.** შენ, მტერიჩარავ, შენს ქერქსა  
რისთვის არ მიეზარები!

**კილვია.** შენ გამომზევდი, ძმობილო,  
ჩრდილოსა ნუ მიეფარები,  
თორემ გეტყვიან უთვენლად:  
ხვრელ-ხვრელ რად დაიარები?

**აფხია.** (განბრახუბული მიიწეოს).  
მაგ ენას მოგჭირ ტარტალავ...

**კილვია.** ნუ თუ არ შეგებრალები?

**უდრკელი.** (შუაში ჩადგება და აშშვიდებს).  
ნუ, ნუ ინებებ. ნუ იზავ!..

**კილვია.** ჰო, თორემ დაიძალები!

**აფხია.** პასუხს მცემს სხვა გვარ კილოზზე,  
აქ დასაციანი რა ნახა?

**კილვია.** ბოდიშს მოვიხდი ზურგიდან,  
განა არ მოგწონს? ხა, ხა, ხა!

**ამო.** კილვია, ეგ არ შეგფერის,  
ანუ რა მოსაწონია?

**კილვია.** მე ისე ვყიდი საქონელს,  
რა ფასშიც ამიწონია!

**ამო.** იკმარეთ! (ხალხს) ხალხო, აღმოთქვამს:  
წალკოტსა დემკვიდრებით;  
ვარსკლავნი დაჰქათქათებენ,  
შემკულსა მაღლით მთიებით.  
იქ მოვიწოდებთ, სად მუდამ  
ველნი მრავალფრად ჰყვავიან;  
არ ისმის კენესა მცხოვრებთა,  
წყლულით არ შეიმსქვალვიან.  
ნაღველსა სძინავს იმ მხარეს,  
ხმა ჰფარავს ნეტარებისა;  
ძილის პირს ნანას უგალობს  
ღუმელი მყუდროებისა!  
და იმ ერთს შეგყრით სანუკველს,  
რაც-კი ღრმად ჩაგექსოვებთ;  
არ გემტყუნებთ არასდროს,  
მარად ჟამს დაგეხსომებთ.  
ისმინეთ აღთქმა დიადი,  
იქ არის თქვენი საფარი;  
იგია „მზისა სამეფო“,  
რომელს არ უჩანს საზღვარი.  
ვაი მას! ვინ-კი ვერ მისწვდეს,  
სულსა შთაუნთქავს წყვილიადი;  
იმედი დაუბნელდება  
და სხივი ესრედ დიადი!..  
(წასვლას აზარებს)

**კილვია.** შევების თავადო, მისმინე!

**ამო.** რა გინდა?

**კილვია.** გეტყვი ყველასა!  
ნუ მიენდობი უგუნურს  
და მხვრელის მოხრელსა მელასა!

(განსე გადგებიან: ამო, ბუნებარ და კილვია)

**ბუნებარ.** გველს შხამი მოუმარჯვინა,  
ორმოა უკვე გათხრილი;  
ბედკრულის მუხანათისა  
თავს დატრიალებს აჩრდილი!

**კილვია.** შენ რომ მზის სხივსა ჰფენ უხვად,  
არ დაგიფასებს მნახველი;  
თვით განგიზადებს სამარეს,  
პირში არ არის მძრახველი!

**ბუნებარ.** შენს გვირგვინს, შემკულს დიდებით,  
ტალახში მოჰსვრის სიამით;  
ნავავს დააყრის შენს პორფირს,  
წითელ სისხლს შეჰსვამს ტრფიალით.  
ის აქვე არის, ჩვენს შორის,  
უფრთხილად ადამიანსა;

**კილვია.** ბოდიშს მოვიხიდი ზურგიდან,  
განა არ მოგწონს? ხა, ხა, ხა!

**კილვია.** რაზომ სპეტაკსა აწვდიდე,  
თვითონ აირჩევს მტკრიანსა!

**ამო.** რას მოსთქვამთ, ძმანო, რას ამბობთ?  
ავის ხართ მახარობელი?

**ბუნებარ.** ისმინე რჩევა: შორს სჭვრეტდე  
მარად ჟამს მიუნდობელი!

**კილვია.** ცბიერთან იყო სასტიკი  
და მრუშის წამით მქრობელი!  
ყველას თავისას უზღავედ  
რის ღირსიც იყოს რომელი.  
ბევრი მინახავს ხალხისთვის  
სოფლად კეთილის მყოფელი;  
სატიკად უწამებიათ,

აცრემლებულა მშობელი.  
როს ამბავს მწარეს გასმენდეს,—  
განა მთხრობელიც ავია?  
გარედ კოკორი თუმცა სჩხვლევტს,  
გული ტკბილ საყნოსავია!  
ბრბოსა უგუნურს დავცინი,  
ვუმასპინძლებდი სიცილით;  
ვერ შეითვისებს მაღალსა,  
თვითვე დაგაზრობს სიცივით.  
სუსტია ხალხის ბუნება  
და შურით დაწყლულებული;  
ქაობში სულსა დაგისშობს,  
იქმნები მოძულეებულნი.  
გგონია, ხალხი გარდაჰქმენ?—  
გული შავია ფისითა;  
წუთხისა წყლითა სულს ითქვამს  
და საქმით მარად მქისითა!

**ამო.** წყვილიად ვერას დავგაკლებს,  
სინათლე უძლეველია;

**კილვია.** უთქვამთ: „რაღა სინათლე  
რაზომ თან ახლავს ბნელია!“

შეების თავადი იღუშალ ბილიკით მთისკენ გაემართება.  
მებრძოლნი აცილებენ. ხალხი აღტაცებულია.

გამოსვლა მეოთხე

ივინიე, გარდა შეების თავადისა და მებრძოლებისა.

**ხალხი.** შვების თავადს ვეტყვით ქებას,  
გემფარველობს და გვესარჩლება;  
კმასაყოფეს ცით გვიგზავნის  
მაღლი ღვთისა გვეფინება,  
ქვრივ-ობოლი ანუგეშა,  
აყვავა მთა და ბარი;  
ნეტარების წყარო გვასვა,  
ავგიშენა თავსაფარი!

**მეორე ჯგუფი.** გესლით სავსე ავ-ენანი  
სწორე გზაზე დააყენა;  
ვცხოვრობთ, ეხარობთ, არა ენადლობთ  
ჩვენთან არის დიდი ღებნა!

**ყველანი.** ვადიდოთ და ვუგალობოთ  
ტკბილი ჰანგი ამო—მფარველს!  
გამარჯვება შვების თავადს!  
ვაშა, ვაშა მის საფარველს!

**ავცია.** ხალხო! ვის ქებას შეასხავთ,  
თქვენთვის რა დაუთესია?  
ქედისა მოხრა უსაგნოდ  
აბა, რა ეგრე წესია?  
ვინც მიგაჩნიათ ლომგულად,  
ბევრჯელაც დაუკენესია!  
ულონოა და უძლოური  
არ ზრახვით დანაკვესია!

(ხალხში დიდი ჩიჩქოლი და მოთქმა-მოთქმას.)

მე ვასულდგმულე იმ თავადს,  
ამას ვერ ჰხედავთ თვალითა?  
მხეს დაკიბნელებთ უკუნით,  
ავაგებთ ყვალას ბრალითა!  
რაზომ სიკეთე მიიწყეთ,  
ის ჩემთ გამომდინარებს;  
ჩემი დამგობი ადამი  
ცოცხალი ბევრსა ინანებს.  
მადიდეთ სახელოვანი,  
ქება მოჰფინეთ არესა;  
დაე მიცნობდნენ მეუფედ  
უსაზღვრო, ვრცელსა მხარესა!  
რაც აბადია თვითვეულს,  
მიზნად სხვაც დაეხატება;  
ერთი ათასად მინდორში  
ცხვრის ფარას მიემატება!  
სარჩოს მოიქის ურიცხვსა,  
ნათესი სულ არ წახდება;  
კაცი თუ ას წელს ვერ ცოცხლობს,  
ჩემთან უკვდავი ვახდება.

(ხალხი ყაყმანსა, მკვამე კრებასა და რამ აყვას თანა-  
უგრძნას.)

**კილვია.** ეს ძველად უთქვამთ მართალი,  
ვგონებ არც ეხლა ავრივე;  
უფრო მეტობით წაიღებს  
ქარის მოტანილს ქარივე.

**ხმები ხალხში.** — შემოსავალი ცოტა მაქვს,  
არა კმასაყოფელია;  
— ოცი ღლის სახნავ-სათესი  
თითქოს სულ არაფერია!  
— ოქროს სასახლე მაღალი  
კარგია, ზეცას სწვდებოდეს;  
— მე მინდა ყველა უშრომლად  
მოჰქონდეთ, ემატებოდეს.  
— სამოთხის წყარო აღინონ,  
იგი აღარა შრებოდეს.

**ბუნება.** სულსა რად იწყმენდ ცოდვებით  
 რისთვის დაჰკარგე გონია?  
 ბოროტი ვხიბლავს ოცნებით,  
 შენ კი მართალი გგონია?  
 (აჟუას) ეშმაკის პირით ჰმეტყველობ,  
 შეგვაცდენ, დავილუბებით;  
 შევების თავდასა ვერ დავგმობთ,  
 ვერც არას დავემდურებით!

**ხმები ხალხში.** — არა გვინდარა, გაგვშორდი,  
 ვერ შეგვცლი დაპირებითა;  
 — ჩვენს მუუფესთან ლალად ვართ  
 სიამითა და შევებითა!

**აჯუა.** (გაბრაზებული) დაგატყებთ მეხსა ციურსა  
 წამ-ერთსა მომაკვდინებელს;  
 შევეძრავ უბსკრულის ღრუბელსა,  
 რისხვისა მომავლინებელს,  
 როს ცეცხლის ვაწვიმებ—მიწამებთ  
 მეუფეს გამამხილებელს!

უაჯრჯუნს მალა ასწავს და სმჯერ შეატრადებს. ცა  
 მოაღრუბლება. ცისკაიეუბი ჩამოხსნდება. ასტუდება ელ-  
 ვა და ქარიშხალი. რამდენსამე აღაჯას მუხი ჩამოვარდება.  
 დაუშვება შხანუნა წვიმა. სუკუბი ღვართ აივსება. ირეუვა  
 მთელი სამყარო. ნადირნი დმუალოთ გარბიან და გამოფრ-  
 ბიან. ხალხი დაფრთხება. კლდე დრეს მოედება. მსხნელს  
 ეძებენ. აჟუა მადლობს სღვას უშიშრად და ხარხარებს.

**აჯუა.** ჰხედავთ, რა გასაჭირში ხართ,  
 ყველა შეიქმნა საპყარი;  
 რისთვის არ დავცხმარებათ  
 შევების მომცემი მთავარი? (ხარხარებს).

**ხალხი.** — რა გვეშველება უბედურთ,  
 ღვარი დავვახრობს წვიმისა;  
 — რა გვექმნა შევების თავადი,  
 რად არ შეისმენს ჩივილსა!  
 — საქონელს თავი ვანებე,  
 მწვანეხედ ლალად გაშლილსა;  
 ღვარი მომსტაცებს ცხვრის ფარას  
 ბინიდან აღრე აშლილსა!

აჟუას შემოქმედას და მუსხ მადრეკით ეკედრებაან.  
 დავგისხენ, ღმერთად გიწამებთ,  
 მეუფედ ავვირჩევინხარ;  
 — დავავიგვივინებთ, შეგამკობთ  
 როგორ პატრესაც სჩვევინხარ!

აჟუა გამარჯვებული ხარხარებს. ხელსუფა იღარებს.

**კილვია.** ხალხის ბუნება ასეა:  
 მსწრაფლ შეითვისებს ცოდვილებს;  
 პატარა შიში, მუქარა  
 ყველაფერს დაამობინებს,  
 ამყოლოს აპყვება აღმართში,  
 მაიმუნს დაედარება;  
 იმისიც არის, ამისიც,  
 თანხმობით შეეფარება!  
 მწვანე ფერდაზე გაშლილსა  
 ხალხი ვამსგავსე ცხვრის ფარას;  
 უმწყემსოს კატაც დააფრთხობს,  
 სირცხვილი შავად დაჰფარავს!

**ბუნება.** მადლობიდან ჰქადაგებს, მაგრამ მასი ხმა  
 რჩება „ხმად მადადებლის უდაბნოს შინა“  
 ერო ისმინე! რად დასტოვე ქეშმარიტება?  
 სამარადისოდ ხომ ნათელი მოგერიდება!..  
 თეთრი სარტყელი და პორფირი მოგებურება,  
 ძაძა პირქუში მგლოციარეს დაგებურება!  
 ერო ისმინე! შავი ქირი მოჰკლავს ახლობელს,  
 სულ ველარ იცნობ შენსა აღმზრდელს საყვა-  
 რელ მშობელს.

რომელი გიყვარს უკეთესი ძე სანუკველი,  
 თვით უარსა გყოფს, შეიქმნება შენივე მკვლელი.  
 ვაი, უგუნურთ! ერო ჩემო, მოდი ცნობასა!  
 შიმშილს განიცდი, თვალთი ჰნახავ დიდს დამ-  
 ხობასა!

დადგება ჟამი სინანულის, მწუხარებისა;  
 მოგენატრება დრო საამო, აღტაცებისა!  
 აღმოსავლეთი, დასავლეთი შენზედ აღზდგება;  
 ზეცით სიკეთე გადმოსული მალე გაჰქრება!  
 მღუღარე ცრემლსა ნათესავნი მოთქმით დაჰ-  
 ღვრიან;

წარგატყვევებენ, ნიდავით ძალით აჯყრიან!  
 მას მოგტაცებენ, რაც ოდითვე გასულდგმულ-  
 ლებდა,  
 და მამაპაპა ეგრედ კრძალოთ გუნდრუქს უკ-  
 მევედა!

ძველი დიდება მტრისა ხელით მსწრაფლ და-  
 გაქცევა,  
 შენი მამული ჯოჯოხეთად გარდაგექცევა!  
 მაშინ გონს მოხვალ, მოინანებ, მაგრამ რას  
 გარგებს?

აოხრებულსა და დაცემულს ვინ გაახარებს?

**კილვია.** მოხუცო, ყურს არ გიგდებენ,  
 ნაღებს ბოროტნი სწველიან;  
 დღეს იმას უფრო ფასს სდებენ,  
 ვისგან პატარას ელიან.  
 რას იზამ, თვითვე თავს მტრობენ,  
 დიახ. ზნე ესე ცუდია;  
 წამითა ცხოვრობს უგნური,  
 აბრუნდი—გადაბრუნდია!  
 ხელსუფა ფარდა ეშვება.

**ა. შანშიაშვილი.**

(შემდეგი იქნება).



# მწუხარება.

ჩავიდა მთვარე... ჩაჰყენენ ვარსკვლავნი  
 ძაძა მოესხათ მთისა მწერვალებს  
 ბნელა გარშემო... სული მქვენვარებს  
 დასწყდა სიმები, ჩანგიც მღუმარებს.  
 კილითი კიდე, ვით რიდე გლოვის  
 მეფობს დუმილი, გულის დამწველი;  
 გარინდებულა არე მწუხარე,  
 ჯოჯოხეთშიაც სდუმს ბელზებელი.  
 ნაძვი მაღალი, ცად ატყორცნილია  
 აღარ ინძრევა... აღარ ქანაობს,  
 შავი ფიქრებით გარემოცული  
 იზნიქება და წაქცევას ლამობს.  
 მტკვარი დუდუნით ტალღებს აგორებს  
 გულ-ჩათხრობილი ჰგოდებს, გალაღობას,  
 დასტირის წჩანგსა ქართლოსის მსხვრეყოს»,  
 მხარეს უმწეოს, გავერანებულს.  
 ეს ყამი არის—ყამი გლოვისა.  
 მდღლოს ცრემლით რწყავს, მოსთქვამს მგოსანი  
 ჰსურს მდუღარ ცრემლით გამოიტიროს  
 სოფლის ვაება და კავშანი

ტ. ტაბიძე.

# ძალლი.

(გუძღვნი ჩემს გულითად მეგობრებს).

ავ-ენანო ოდეს დასცხრეთ  
 მასსუენათ ესდენ. სული.

ბ. ბარათაშვილი.

I

ძალლი წრფელი, ვფიცავ, მეც მყავს,  
 მაგრამ იგი სხვის ძალლს არ ჰგავს.

\* \* \*

გავაჯავრებ ფეხებსა მფხანს  
 და თუ ვკოცნი სულ ლაქუცობს;  
 თუმც არა ჰგავს ადამიანს  
 და მათსავით არ თვალთმაქცობს;

მაგრამ მაინც ის მაღლა სდგას  
 ვით არწივი ამაყ მთებზე —  
 ის მაღლა სდგას „კბილ მოთეთრო  
 და გულ-შავა მეგობრებზე“.

\* \* \*

თუმც თვალთ-მაქცობს, სცრუობს მარად,  
 მაგრამ სწორედ და აშკარად.

II

ავადა მყავს... ვაჰმე ბედკრულს!  
 სტანჯავს ზველა საშინელი;  
 ექიმთ ცრემლი უკარგავს რულს;  
 აწ, რა უყო ჩემს სიყვარულს! —  
 ჩუ! იქ სწყვეტენ ძაფს მეგობრულს...  
 ისმის მღერა, ტაში ნელი.

\* \* \*

გაიხარეთ... გაიხარეთ,  
 დორბლ-ცრემლ-გესლი ზიზლით ღვარეთ  
 შენ კი, ძალო, ნუ ჰკენეს მწარეთ  
 წრფელ ოცნებით დაჰქრი შენ ზე.  
 თქვენ კი, მტერნო, გწამდეთ ცხარეთ  
 ეს მაღლა სდგას მუღამ თქვენზე.

III

მოკვდა... მოკვდა... აღარ არის  
 მყის წარსული გავცხენე,  
 ბლთან მიწა ამოვთხარე  
 და ტირილიდ დავასვენე  
 ყვავილთ ჯილა თავს დავადგი,  
 ძეგლს ვუმზადებ ამ წარწერით:  
 მოკვდა მგოსნის მეგობარი,  
 მოკვდა თქვენ კი... თქვენ კი მღერით?  
 იხითხითეთ, იხარხარეთ,  
 დააბნელეთ ბრწყინვალე მზე  
 მაგრამ გწამდეთ, რომ ის ძალლი  
 კვლავ მაღლა სდგას მუღამ თქვენზე.

ი. გრიშაშვილი.

# ბზა და ბზა

დარდანელის სრუტე. სმირნის უბე.

II

შთავრას მკრძალვარე ნაზი სანათლემ,  
 გემის ჩარ-  
 ხას ერთნაირი დაუსრულებელი ხმაურაბა,  
 სრული შეუღ-  
 რაკება გემის ბაქანზე, —ვევლა ეს ანას  
 ის შეწყობილია  
 შირაბა, რამეღაც აურთაანებს  
 ადამიანის შირაგუნებას გა-

რეგან ბუნებისათვის. რომლის საშუალებით ბუნების საიდუმლოების გარეშე მდგომი ადამიანის გრძობა და აზრი, მისი ბუნება არღვევს ამ საიდუმლოების ფარგლებს და თუ ვერ არკვევს მას, ერთგვის მანც. რა გინდ მოკლებული იყო ოცნების ნაწილს და ფანტაზიას, აქ გებადება ათასხაირი გაურკვეველი, სიტყვით გამოუთქმელი, მაგრამ იმავე დროს მეტად ხათელი და გარკვეული, ზეტარა, მაგრამ იმავე დროს დიდი და დიდი აზრა, გრძობა, ოცნება და ამ დროს გრძობა, რამ წამოაძისების ნისლიან ადობინის დამამშენებელ ღირავოსს, ნახს შედლის: „ძანო, ხმელეთ, ზღვა, სურათ!.. ფაქრი, ფაქრს, გრძობა გრძობას და გულის გებადება რადც სიმთვინია, რომელსაც ბანს აძლევს ზღვის მძლავრი სუნთქვა, გაბობილ წყლის შრიალი და ჩარხის დაუწყნარებელი ხმა...“

მთავარ მადლა დვას, გვიანდა და თუმცა არ მინდა ქვემოდ ჩსვლა, მაგრამ დროა, მით უმეტეს რომ დიდა ადრან შევუდგებით დარდახელის სრუტეს და არ მინდა მოვკლდე ამ სანახობას. ჩავდივარ ქვემოდ, ვწვები, მაგრამ გულის სიღრმიდან და გონების შორეული კუნჭულებიდან გრძობანი და ფაქრება დიდხანს დამტრიალებენ თავს და მიფრთხილებენ ძილს. სულ გვიან ძლივს ძლივს მერევა ძილი, მაგრამ ძილიც გავრძობება იმისა, რაც ცხადლივე იყო; ან კი რომელია ძილი და რომელი სიცხადე?..

გამოვადვებ თუ არა, ჩაუცმელი მივვარდი ჩემის განუფიქრებლის ზეტარა სარკმელს. დამგვიანებია, რაგრაგზე შევდგომივართ დარდახელის სრუტეს და ის მომენტია, როდესაც გემი შედიოდა სრუტეში, გამომზარება. სანქაროდ დავიბანე ზირი, ჩავიგვი და ავედი ბაქანზე. სანახობა სრულებით გამოიცვალა. დაურულებულ, უკიდო ზღვის მაკიურ, გემი სიჩქარით მიდის ვაწრო სრუტეში. ნაბირები მწირია, სხანს წითელი მიწა, მოკლებული მტენარულობას ზღვის ნაბირს ვაკე. მისხლეობა ნაკლებია, აქა-იქ მისჩანს ზეტარ-ბეტარა უღამაზო სოფლები, ზოგან წინ გაშლილ ვაკეს უკან დაყოლებული აქვს სერები, და ამ ერთხანის, ცოტა არ იყოს, მამბეზრებულ სანახობას არაფერა არ ახლავს. სამართხი საათი ასეთის მოკზარობის კადეგ და თავდება დარდახელის სრუტე და გემი ანბანს ეკლასის ზღვის ტადლებს. კადეგ რამდენიმე საათი და იწუება მერე სრუტე უფრო განიერი მიწიღუნის სრუტე, რომელიც ჭეფის მცირე აზიის ნაბირებს და კუნძულ მიტოვებს, ანუ ძველ ბერძნების კუნძულ ლესბოსს. ეს უკანასკნელი დიდი მთიანი კუნძულია, როგორც გემზე ამბობენ, მდიდარი მტენარულობით, მაგრამ გემი ისე შორს უვლას, რომ, თუმცა სხანს, რომ კუნძული შემოსილია მტენარულობით, მაგრამ როგორია ეს მტენარულობა, რამდენად ღამაზი და მდიდარი, რა სისათის, უველა ამას ვერ ვხედავთ. მისხლეობა არც აქ არის დიდი, თუმცა სოფლები, რომელიც გაშენებულია ამ კუნძულზე როგორც ზღვის ზირას, ისე მადლობისზე, სხანს,

უფრო დიდა, უფრო კარგად მაწობილი, ვიდრე მცირე აზიის ნაბირზე. ეს უკანასკნელი კი ისევ იმის გაკლებია, რაც დარდახელის სრუტეში იყო, ამ განსხვავებით, რომ ნაბირის სიგძევე დაყოლებული სერება აქ კარგა მადლ მთებდ იქცევიან. სრუტე კარგა განიერია, როგორც ვსოქვი, მაგრამ არც იმდენად, რომ ზღვის მისი სიდიდის ხსიათი მიეცეს, და არც ასე ვაწრო, რომ ბოსფორის ნაბირების სიმშენიერე მოგავანოს, რადგან ნაბირები შორსაც არიან და ბოსფორის ნაბირების სიმშენიერესაც მოკლებულია.

ამ კუნძულის გასწვრივ გავლას მოუნდით ორ-ორ საათ ნახევარს, ერთხანს მხოლოდ—და მცირე აზიის ნაბირები გვეტონდა ცალ მხარეს, მერე მხარეს კი გაშლილი ზღვა იყო, მაგრამ ვერ კადეგ მიტოვების ბოლო კარგად სჩანდა, როდესაც შევედით სმირნის უბეში და ორთავ მხარეს ისევ ნაბირებს შორის მოვეყვით. სმირნის უბე გძელი და განიერია იმდენად, რომ მარჯვნივ და მარცხნივ ნაბირები ძლიერ შორს რჩება, ხოლო სიგძით კი მის გავლას ოთხს საათს მოუნდით. ასე რომ როდესაც თვით ნავთსადგურში შევედით ანუ, უკეთ რომ ვსოქვით, როდესაც უბის ბოლომდის მივედით, რადგან სმირნის ნავთსადგურს შეადგებს უბის შევაწრებული ბოლო, რომელსაც ზღვიდან მომავალი ტადლა თავისუფლად სცემს, კადეც დადამდა და ჩვენმა გემმა ვერ შეიძლება ის წესი, რომელიც ნავთსადგურში შესვლის ნების აძლევს. ეს წესი კი იმაში მდგომარეობს, რომ ეფელოვე გემი, რომელიც შედის ნავთსადგურში, სდაც უნდა იყოს, უნდა განსჯოს ნავთსადგურის ექიმმა; ამან უნდა დადასტუროს, რომ გემზე არ განხილას ისეთი სენი, რომელიც აძლევს მას ნავთსადგურში შესვლის ნებას; ამის შემდეგ ნავთსადგურის მოხელეები სინჯავენ გემის ქადადებს და მხოლოდ ამ წესის შესრულების შემდეგ შეუძლია გემს დადგეს ისეთს ადგილს, საიდანაც შეიძლება მგზავრების ჩსვლა-ამოსვლა და გემის დცლა-დატვირთვა. უველა ამ ფორმლობის არსულება გვიანდა იყო, როდესაც ჩვენი გემი შევიდა სმირნის ნავთსადგურში და ამიტომ ცოტა შორი ახლოს დადგა და ზემოხსენებულ წესის ასრულება სანჯალოდ კადანლო. ძლა უკეთუდად გემიდან ცქერით უნდა დავამოფილებულიყავით და ჩვენც გემის ბანიდან ვსცდილობდით გამოგვერგვის ქადაქ სმირნის მდებარეობა და სივრცე. რამდენადც ელექტრონის ფარნების და სხვა განსათიებულ ცენტლთა სისათლე გვიჩვენებდა, ქადაქი კარგა დიდი უნდა ეოფილიყო, რადგან მრავალი სანათური დაყოლებოდა ზღვის ზირის დიდ მხიძელს და სიღრმითაც შორს ადიოდა მადლა-მადლა. ადვილი მისხვედრი იყო, რომ ქადაქი მთის კალთაზე იყო გაშლილი. სხვა-და-სხვა ფერი სისათლე შორს, გაწვდილი ზღვის ნაბირას დამწვრივებულ ელექტრონის ფარნების და განიადლებული ევანსები იმავე ზღვის ზირას მშენიერ სანახობას წარმოადგებდა.

დილით რომ გაღვივებდით გემიდან და შემდეგ შიგნითაც რომ დავიარეთ ქადაქი, ჩვენი მხოლოდ ქადაქის

განათობაზე შემდგარი წარმოდგენა მართალი გამოდგა. მართლაც დიდი ქალაქი ყოფილა სმირნა, კარგა დიდ მანძილზე გაშლილი. ქალაქი მთას კალთაზეა დაფენილი და ერთი მისი ნაწილი მეტად ღამაზი მოსჩანს. ზღვიდან უყურებთ, ეგვლა სხლეები თეთრად არის, რაღაც ახორბულ სილამაზეს აძლევს ამ ნაწილს. ჯერ კიდევ სვამოს გვახმებ ერთმა აქ ნამყოფმა ვაჭარმა, რომ სმირნის ნავთსადგურს დიდი მნიშვნელობა აქვს ოსმალეთისათვის, რადგან მცირე ახიის კარგა დიდ ნაწილის გამტან-შემომტანი ვაჭრობა აქ წარმოებს. მართლაც, ჯერ თვითნათსადგურში მრავალი სხვა-და-სხვა სახელმწიფოს გემო დგას; თვით ქალაქში ზღვის ზირის ქუჩაზე დიდი მოძრაობა; ჩვენი გემიც აქ უფრო დიდ ხანს ჩერდება, ვიდრე სხვა ნავთსადგურებში, რადგან დიდი ასაღები ტვირთი აქვს — რამდენიმე ათასი ფუთი ხმელი თათრული ცერცვი. შიგნით ქალაქი ნამდვილად ღამაზსავსეა სხვა-სხვა სახის წარმადგენს, — ვიწრო ქუჩები, ზატარა სხლეები, უთუოდ აივნისანი, საქონლით დატვირთულ აქლემების ქარავანები, ადამისავსე ტანსაცმელი, დახურული ბაზრები, მანკალები, რომლებზედაც სწავან სიმიანდს, ხარშავენ უავს და სხვ. ერთი რამ კი არის საკვირველი; შედარებით ეგვლა ამასთან, ე. ი. იმ ადამისავსე ზირბებთან, რომელიც გიბდავთ უსუფთაობის წარმოდგენას, შედარებით, მეტი, ამასთან — ქუჩები, სხლეები და ხალხიც საკმარისად სუფთანი არიან. შენობები დიდს არაფერს არ წარმოადგენს, მაგრამ ბევრი კარგი და ღამაზი სვლსია. დიდი ბაღები არ არის, მაგრამ ქალაქში საკმარისად არის მცენარეულობა და მწვანეს ნაკლებუფანება არ ეტეობა, სოლო ზემო ნაწილში, საკმარისზე მეტიც არის. სმირნის მცხოვრებლების შეადგენენ უმთავრესად ოსმალეები, ბერძნები და ებრაელები. ეოველ ამ ხალხს თავისი კუთხე უჭირავს მარცხნით, თუ ისევე ზღვიდან უყურებთ, სცხოვრობენ ბერძნები, შუაში ოსმალეები და მარჯვნივ ებრაელები. სხვა ხალხთა წარმომადგენლებიც არიან, მაგრამ ნაკლებად.

გადავდივით ნაწილზე თუ არა, ქალაქის დასავლეთ-რეზიდენციას შესდგა კომპანია. დავიჭირეთ გიდი, რომელსაც უნდა ეჩვენებინა ჩვენთვის ქალაქის ყოველი სანახაობა. ცალ-ზირს ასეთი დათვალიერება მეტად ძვირად უჯდება, ხოლო კომპანიაში ძლიერ იაფად. მაგალითად, ჩვენი კომპანია შესდგებოდა თითქმის კაცისაგან და თითოს უნდა გადახდა სამი ფრანკი (ექვსი აბაზი). ეს იყო ფასი ეტლი-საც და თვით გიდი-საც (დამტარებელი).

ზედ ზღვის ზირს ზატარა ბაღა და მის შუაში შადრევანი, სდაც ადგილობრივ ჯარის კაცნი წესისამებრ იბანენ ლოცვის წინ და შემდეგ. მეჩითი იქვე ბაღის კვერდითა, ბაღს უკან ადგილობრივი დანე-ალ-გუბედნატორის სასახლეა ჩვენ რომ ჩვედით იმ დღეს ამ სახლის წინ დიდი ერილობა იყო, მოდიოდნენ ეტლები, რომელშიაც საზარდოდ გამოწობილი ადგილობრივი მოხელეები იხილნენ ან სხვა-და-სხვა სახელმწიფოების კონსულეები. კონსტიტუციის შემოღების წლის თავი იყო და სმირნა, როგორც დანახე-ნი ოსმალეთი, დღესასწაულობდა თავისუფლების დღეს. მთა-

ლი ქალაქი ბაირადებით იყო მორთული, კერძო სხლეები — ხალიჩებით და ზატარა ბაირადებით, ერთი-მეორეს წავერბული ფერადი ნაჭრები, ზედ დავერბულ ოსმალეთის სხვა-ბაირადო ნიშნით — ახლის მთვარით — განი-გან იყო გვერდული ქუჩებში და ზოგან წარწერაც მოსჩანდა: გაუმარჯოს კონსტიტუციასო.

გავიარეთ ქალაქის ქუჩები და ნელ-ნელა მდლა-მდლა გავდივით ქალაქის განაპირას ზემო ნაწილში. მშენიესანსხავა სმირნა აქედან. მთის ფერდობზე დგოდა სხლეები სხვა-და-სხვა ფერ სხურავებთან, ერთი ნაწილი ქალაქის გადათეთრებულა, ეს იქ, სდაც ეგვლა სხლეები თეთრად არის შეღებილი; აქ-იქ ამართულან კვიზარსები; ჩვენ გვერდით ოსმალეთის ძველი სასოფლათა, რომელიც კვიზარსების ტერს წარმოადგენს და ეგვლა ამის ქვეით მდელვარე, ზოგან თეთრ-ქაფ მოყრილი მარცხნით და მარჯვნივ მთებში მომწვედელი ზღვა. ჩვენი გიდი გვეითებს მარჯვნივ ზღვის, ქალაქს გარეთ, შირს ნაწილებზე აქ-იქ დაფანტულ, მწვანედაც გამომჭირად სხლეებს. ეს შესდებულ სმირნელების ავარაგებია, მომეტეულად ბერძნების, ოსმალეები საკარავად უფრო ხეობისკენ იწვევენ, რომელიც იქვე, სმირნის მარჯვენა ნაწილში იწევს.

დამტობარი ამ სანახაობით მოვუბრუნდი ოსმალეთის სასოფლათს. დიდი მორწმუნე ხალხი უნდა იყოს ოსმალეთი ხალხი და საზოგადოდ მკმადანი, მტკიცედ უნდა სწამდეს საიქიო ნეტარება. სიკვდილის მას, როგორც სჩანს, არ ეშინა და ამიტომ არც მასთან შერკებას სცდილობს. ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე მისი სასოფლათა. მამინ როდესაც დასავლეთ ევროპაში სასოფლათ დიდს უურადლებს და მოვლის საგნად არის გადაქცეული; როდესაც იქ სასოფლათ მშენიერის ევალებით და მცენარეულობით სავსე ბაღს წარმოადგენს, სავსეს ავრთვე ხელაზნურად ნაკეთებ ადრანტებით, ერთის სიტყვით ისეთს ადგილს, რომელსაც საკანტებოთ სცდილობენ დეჟარგონ მისი საშინელი ხასიათი სამუდამო განსვენებისა და რომელიც ესხანდელ დროს თითქმის სასიერნო ადგილად არის გადაქცეული, აქ რაღაც მძიმე და უხალისო გრძობა გვახდებოდა გულში. მართალია, აქაც, როგორც ვსთქვი, ტერს თითქმის კვიზარსების, მაგრამ მხოლოდ კვიზარსების, იმ ხეების, რომელსაც ნამდვილი სასოფლათ დარაჯო ეთქმის; სხვა ხეს და მეტადრე ევალებს აქ ვერ ნახავთ. ადრანტების მტერ ეოველ საფლავზე ამართულათ თითლოდლა ქვის ბოძი, ერთი-მეორის მსგავსი, უშინარსო, უახრო. იქ, ევროპაში, სცდილობენ სასოფლათს სიჩუქ ცოტათი მაინც დაარღვიონ, სასოფლათს ზედა ზირი მაინც გაახლისონ, რომ უკუ აყარონ ძალაუნებური თქვი იმ დაურთლებულ ბნელის შესახებ. რომელიც საფლავათ შინა სუფევს. იქ თითქო ნენ-ნელა შეჩვევა უნდათ ამ საშინელებისთან, რომელსაც ჭგვრის ადამიანის გონებას საფლავო, სიკვდილი, თითქო საჭაო ცხოვრებისა და საიქიო ანარაობის გვერთავება უნდათ; ათავანთ მიცვალებულთ ხშირად ესტუმრებიან და თითქო ცოცხალათ და მკვდართ შირის ურთავებობა არა სწელება, არის და იქნება. აქ

გი მკვლარი-მკვლარია, მას აღარაფერი არ აერთიანებს ცოცხლებთან. მარტოვი მძიმე ქვის ბოძები უშველებულ წერტილებს წარმოადგენენ, ცხოვრების წერტილებს...

გიდი გვაჩვენებს, —თითო ეტლი საათში მხეონახევრად უზის. წვენი ვჩქარობთ, რაც შეიძლება მლეგნახით, რაც არის გადავდივართ სვეურადღებო, აკერ გადავართ ვატარა სერი და ქალაქიც და ზღვაც თვალთაც დაგვეკარგა. გზა ერთ ხანს ტრიალ მინდორში მიაგლანება, ხან აღმა, ხან დაღმა. ნახევარ საათის განმავლობაში, სოფლავსე ერთ ვატარა სერს შემოურთ და რამდენიმე წამის შემდეგ ჩვენ წინ აიშრთა ძველი რომაელების ნაშენები აკვედუკია, ანუ წყლის გასაყვანი. წარმოადგინეთ მთელი რიგი სიგძესე. ერთი-მეორესე მიშენებული თადი, ჯერ ერთი სართული და შემდეგ ასეთივე მეორე სართული თადებისა. ასეთია რომაელების ძველი აკვედუკი. ზემო თადების სახურავსე გაყოლებული დასურული თხრალი, ანუ თუ გნებავთ უშველებული მილი, რომელმაც მიმდინარეობდა, და წარმოადგინეთ, დღესაც მიმდინარეობს მთის წყალი. რომაელები დიდად დახელოვნებული იყვნენ შენობის საქმეში და აი კიდევ ამის დამამტკიცებელი საბუთი. ორი ათასის წლის წინად აშენებული აკვედუკის დღესაც მოქმედს მთის წყალი, რომლითაც სარგებლობენ აქაური მკვიდრნი. მოშორებით მეორე აკვედუკის ნანგრევებიც მოსხასს. აქედგან ბაღებით დახრდალულ გზით ვბრუნდებით ქალაქში და გადავდივართ ქარავანების ხიდსე. ხიდი გადაებულია ვატარა დელესე და თითონაც ვატარა, მაგრამ გიდი ჩვენს უურადღებანს აქცევს იმას, რომ მთელი ხიდი ერთის ქვის ნაჭრისგან არის გამოთლილი. ამ ხიდსე უნდა გაიაროს სმირნაში მიმავალმა ეველა ქარავანმა.

ქალაქში შევდივართ ქალაქის მეორე მხრიდან. მალახიები კონსტიტუციის რდესასწაულის, გამო დაკვეტილია და ქუჩაში მრავალი ხაღხა ირევა. ნაშუადღევის ორი-სამი

საათი და მსე მეტად ატერს. გავიარეთ შიდა ქუჩებშიც, გამოვედით ზღვის ხირს და გემისკენ მივექქარებთ, -- იქ უფრო გრილია; ზღვის სიოც უფრო სავრძობელია გემის ბანსე და გარშემოც წყალია და არა ქუჩის გახურებული ქვანელი.

მსე თითქმის მიემალა დასავლეთ ნახირის მთას, რომლის ორ ერთი მეორის მსგავს სერს „ოვილადელი“ ქქიან, ანუ ძმები-მეტობრები, რადესაც ჩვენმა გემმა გასასულელად მხადება დაწყეო. ერთი ნახევარი საათი კიდე, ბოხის ხით დაიდრიალა რამდენიმეჯერ და გავუდქით გზას. ხირველ სამ-ოთხს საათს სმირნის უბიდგან გასვლას უნდა მოუნდეთ. დამთი უნდა ჩავუართ ბერძნულ არხიველავის მრავალ ვატარ-ვატარა კუნძულებს და ეს გარემოება ცოტა არ იეოს გულს გვეწვეპტს, რადგან მრავალი მათგანი კარგი სახასავია ზღვიდგან და ჩვენ მოკლებული ვიქნებით მათ დახასვის საიმოვნებას. სმაგეიროდ სვალ შეადლისს ათინას მივალთ; ეს მოლოდინი გვანუგეშებს და გვასვლისებს. ათინა ჭამიროსის და მისდმერთებისა და გმირების ქვევანას და ამ ქვევანასაც სვალ ვნახათ.

ინ-ზენი.  
ი. ვაჩაძე

რედაქტორ გამოცემელი:  
სოფრონ მალოზლიშვილი.



# მკითხველთა საყურადღებოთ:

მსურველთ შეუძლიათ რედაქციიდან დაიბარონ სრული გამოცემა ერისა 1909 წლ. და მიმდინარე წლისა 4 მანათად.